საქართველო

ორი ათას ცამეტი წლის **შვიდ აგვისტოს** მე, ნოტარიუს **ნატა გრძელიშვილის შემცვლელ პირს მარიამ გოგვაძეს** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №56. მომმართა **მარინა გასვიანმა**. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **მარინა გასვიანმა** (დაბადებული 14.08.1953 წელს, თბილისში, პირადი №01017004290, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქ. №10, ბ.№5). მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა შევამოწმე. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა **მარინა გასვიანმა**. მე განვუმარტე მას შინაარსი, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

მე, **მარინა გასვიანი** (მონაცემები მოცემულია ზემოთ), უფლებამოსილებას ვანიჭებ, **არჩილ გიორგიძეს** (დაბადებული 11.06.1986 წელს რუსეთში პირადი №01024039594 რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 10 ბ. 5) მასზედ, რომ მან მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, გადაიფორმოს თავის თავზე, დატვირთოს იპოთეკით, გირავნობით, გააქირაოს, გასცეს იჯარით, გამოჯნოს) ჩემი კუთვნილი ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება. დადოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება, მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად სანოტარო ბიუროში და ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში (საჯარო რეესტრი, სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოში, სარ-ის განყოფილებებში, აიღოს უძრავი ქონების მარეგისტრირებელი ორგანოებიდან საჭირო საბუთები და ამონაწერები, იყოს ჩემი წარმომადგენელი საამხომველო კომპანიებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის შესაბამის სამსახურებში), შსს მომსახურების სააგენტოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟები და გადასახადები შესაბამის უწყებებში და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციის განყოფილებებში, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, შეასრულოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადები და სხვა სახელმწიფო ბაჟები და მოსაკრებლები შესაბამის დაწესებულებებში, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის სრულ გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს ნატა გრძელიშვილის სანოტარო ბიუროში.

გადახდილია სანოტარო აქტის (მინდობილობის) დამოწმებისთვის საზღაური საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი ასევე 2.00 (ორი) ლარი იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 12.00 (თორმეტი) ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსის
შემცვლელი პირი _____ მარიამ გოგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60642834613813

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130803342

რეგისტრაციის თარიღი

07.08.2013 წ

ნოტარიუსი: ნატა გრძელიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზირი 56.
ტელეფონი: 832 222--01-16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18